საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა


# ლელო

21–25 მაისი, 1994 წ.
№16 (10884) ● ფასი 35 000 კუპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## თათბირი საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიაში

**კომისიაში** გამართული თათბირის მიზეზი ჩვენი საფეხბურთო ცხოვრების რამდენიმე საჩოთირო საკითხი გახლდათ, რომელთა განხილვის აუცილებლობა პარლამენტის ხელმძღვანელობის წინაშე დასვეს საფეხბურთო კლუბ „ბათუმის" გულშემატკივრებმა და თბილისის „დინამოს" ყოფილმა ტექნიკურმა დირექტორმა ვ. ჟვანიამ.

ჯგუფმა, რომელსაც დაევალა საკითხების შესწავლა, კომისიის წევრებისა და მოდავე მხარეების დასწრებით გააანალიზა ყველა ფაქტი და მოისმინა სპეციალისტების განმარტებები.

ამ დღეებში საპარლამენტო კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოიტანს სათანადო გადაწყვეტილებას.

თათბირს უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე ბეჟან ხურციძე.

## თუ ბიზნესმენი მოისხიბლა...

ნავლებ თუ არა სინქრონული ცურვის ჩვენი ოსტატები მოსკოვში ევროპის ჩემპიონატზე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეეძლოთ მხოლოდ ბიზნესმენებს, რომლებიც 19 მაისს საგანგებოდ მიიწვიეს „ვერეს" საწყლოსნო კომპლექსში.

სტუმრებისათვის მოეწყო „ბრწყინვალე ექსპეული" საჩვენებელი გამოსვლა, რის შემდეგ წყალთა სახეობების კონფედერაციის ხელმძღვანელობას (პრეზიდენტი ბაკურ გულუა — მისი თაოსნობით მოეწყო ეს შეხვედრა), ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ბიზნესმენები უარს აღარ იტყოდნენ ქველმოქმედებაზე.

შემდეგ სტუმრები მიიწვიეს „ვერეს" ბარში საბოლოო მოლაპარაკებაზე, სადაც კიდევ ბევრი რამ გაირკვა. ბატონმა ბაკურ გულუამ განაცხადა, რომ მთლიანი თანხა ნაკრებისათვის ექვსიათას დოლარამდეა.

მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გოგოები აუცილებლად უნდა წავიდნენ ევროპის ჩემპიონატზე.

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

● **ხელბურთი.** საქართველოს ჩემპიონატის მესამე ფინალური ტური: „ამირანი" — „ორბი" 39:31, „შევარდენი" — „მართვე" 37:13, „ამირანი" — „მართვე" 40:20, „ორბი" — „მამული" 21:31, „შევარდენი" — „ორბი" 34:23, „ამირანი" — „მამული" 32:27, „მართვე" — „ახავა" 24:36, „ახავა" — „ორბი" 17:16, „ახავა" — „მართვე" 34:28. „ახავას" (სამტრედია) გამოუცხადებლობის გამო „მამულთან" და „შევარდენთანაც" წაგება ჩაეთვალა — 0:10 (იხ. „ლელო" №15).

## ივან აბაჯიევი აღიარებს

როგორც ცნობილია, ბოლო წლებში ბულგარეთის ძალოსანთა ეროვნული ნაკრები სისტემატურად ამარცხებდა საბჭოთა კავშირის გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში, რასაც საკმაოდ მტკივნეულად განიცდიდნენ რუსი სპეციალისტები. ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელის ივან აბაჯიევის განცხადებით რუსებმა მის გუნდს შეთქმულება მოუწყვეს 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე. მისი აზრით მიტკო გრაბლევის (56 კგ) და ანგელ გეჩევის (67,5) „მხილება დოპინგის მიღებაში", რასაც მათი დისკვალიფიკაცია და ბულგარეთის გუნდის სრული კაპიტულაცია მოჰყვა, წინასწარ იყო ჩაფიქრებული და ერთი დიდი სცენარის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც ოსტატურად გაითამაშა ოლიმპიადის სადოპინგო კომისიამ საბჭოთა მედიკოსების დახმარებით.

## პირველი, პირველმა, პირველად...

# ქართველი კეისარი

მან მთელი ეპოქა შექმნა ველოსპორტში და ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, რომ დიდებული ლეგენდა დატოვა სპრინტის სწორუპოვარ ოსტატზე.

...Veni, vidi, vici! ასე მიმართა თავის დროზე სენატს კეისარმა და ამით დაადასტურა თავისი ჯარების უსიტყვო გამარჯვება პონტოს მეფეზე. ღვთაებრივი იულიუსის ეს სიტყვები ყოველდღიურობაში ტრიუმფის სინონიმად იქცა.

ომარ ფხაკაძესაც ხშირად უთქვამს თავისი ნიჭის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებისთვის:

— მივედი, ვნახე და ვძლიეო.

უთქვამს და ამით ზუსტად გამოუხატავს ძალთა იმდროინდელი შეფარდება საბჭოთა ველოსპორტში, თუმცა...

60-იანი წლების დასაწყისში იგი მხოლოდ პოტენციურ ჩემპიონად იყო მიჩნეული სპრინტში. ყველაზე ოპტიმისტ პროგნოზისტებსაც კი მიაჩნდათ, რომ მისი დრო ცოტა მოგვიანებით დადგებოდა, დაახლოებით 60-იანი წლების მიწურულს. მაგრამ ომარი არ იყო ის კაცი, გულხელდაკრეფილი დალოდებოდა ბედს. მან თვითონ გადადგა ნაბიჯი მოვლენების შესახვედრად და უკვე 1963 წლის სეზონი დაამთავრა ტრიუმფით: 19 წლის ყმაწვილმა მოსკოვში, „ნორჩ პიონერთა" სტადიონის ველოტრეკზე ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა იმჟამად დაუმარცხებელ და აღიარებულ ფავორიტს იმანტ ბოდნიექსს.

მაშინ ასე ფიქრობდნენ: ქართველი ყმაწვილის გამარჯვება არ არის სრულფასოვანი, ვინაიდან რომანოვს არ შეხვედრიაო. იქნებ ეს მართალიც იყო, მაგრამ ასე ინება მაშინ კენჭისყრამ და ამ შეცდომას ველარაფერი გამოასწორებდა ახალი კენჭისყრის გარდა, რომელმაც ერთი წლის შემდეგ ერთმანეთს შეახვედრა ორი ფავორიტი.



სისწრაფე ომარ ფხაკაძის სტიქია იყო მუდამ, ამიტომ იგი არასდროს იწუხებდა თავს ტაქტიკური მანევრებით. რომანოვმა ეს იცოდა და მთავარი აქცენტი სწორედ ტაქტიკაზე გადაიტანა, მაგრამ ეს ის შემთხვევა გახლდათ, როცა ძალა აღმართს ხნავდა და ყველაფერი ისედაც გასაგები იყო. იმ დღეს დამარცხდა ბოდნიექსიც და ომარმა შეინარჩუნა უძლიერესი სპრინტერის წოდება, თანაც საკმაოდ დიდი ხნით.

ასეთი იყო დასაწყისი, რომელსაც სხვა უამრავი ტრიუმფი მოჰყვა შინ თუ გარეთ, რუსეთის ქალაქებშიც და უცხოეთის ველოსტადიონებზეც და, როგორც წესი, ყველგან „ქართველი კეისარი" თავისი პრინციპის ერთგული იყო: მივიდა, ნახა და სძლია!

რამდენიმე ცნობა ომარ ფხაკაძის ბიოგრაფიიდან:

დაიბადა 1944 წლის 12 აგვისტოს ქუთაისში. ველოსპორტის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის „დინამო". პირველი სპრინტერი ყოფილ სსრკ-ში, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა (1965). 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე იყო ლეგენდარული ფრანგის დანიელ მორელონის შემდეგ. 1972 წლის ოლიმპიური თამაშებისა და 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. ათჯერ იყო სსრკ ჩემპიონი სპრინტში (1963, 64 და 66-73 წ.წ.) ორჯერ ჰქონდა ვერცხლის მედალი და ერთხელ — ბრინჯაოსი, სსრკ თასის სამგზის მფლობელი.

იგი ძალზე ადრე წავიდა წუთისოფლიდან და აუნაზღაურებელი გულისტკივილი დაგვიტოვა ყველას. არადა, სამიოდე თვის შემდეგ სულ 50 წლისა გახდებოდა.

## მხარდაჭერა

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია მხარს უჭერს წინადადებას ფიზიკური კულტურის ინსტიტუტიდან ბაგებამდე ქუჩის მონაკვეთს, სადაც რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი სპორტული ობიექტებია თავმოყრილი, ეწოდოს სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის, შესანიშნავი ორგანიზატორის და პიროვნების ნუგზარ ენდელაძის სახელი.

## „ლელოს" დახმარების მსურველთა საყურადღებოდ!

ჩვენი საბანკო რეკვიზიტია: კომერციული ბანკი „ელვა" ანგ. **№700161380**, „ლელოს" პირადი ანგარიში **701204**, მფო **522276**.

## ულოცავთ

გაზეთ „ლელოს" რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს წარსულში ცნობილ კალათბურთელს ამირან სხიერელს.

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## ჩემპიონთა ღირსეული ჩემპიონი

ფეხბურთის მოყვარულებს ამ ბოლო დროს დიდი სიხარული გვაქვს: წელთა და წელთა იზოლაციის მერე, როგორც იქნა, საშუალება მოგვეცა ტელევიზიით ვიხილოთ საერთაშორისო ფეხბურთის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიცაა ევროპის საკლუბო ტურნირების გადამწყვეტი ფინალური შეხვედრები. ასე ვნახეთ სულ ახლახან ავსტრიის „კაზინოსა" და იტალიის „ინტერის" (უეფას თასი), ინგლისის „არსენალისა" და იტალიის „პარმას" (თასების თასი) მატჩები.

რა თქმა უნდა, ზემოთ დასახელებული გუნდები მსოფლიო ფეხბურთის ელიტას მიეკუთვნებიან, მათი შეხვედრებიც დიდ ინტერესს იწვევდა, მაგრამ სულ სხვა სიძლიერისა და შესაძლებლობათა მეტოქეები დააწყვილა ჩემპიონთა თასის ფინალმა: „ბარსელონა" (ესპანეთი) და „მილანი" (იტალია). ეს, ნამდვილად, ორი სუპერკლუბია, მათ შემადგენლობაში გამოდიან თანამედროვეობის გამოჩენილი ოსტატები, ამიტომაც ევროპის უმთავრესი საკლუბო გათამაშების გადამწყვეტ შეხვედრას ეგზომ დიდი ყურადღებით ვუცქირეთ ყველამ. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ წარსულში „ბარსელონა" ერთხელ ფლობდა ჩემპიონთა თასს, სამჯერ — თასების მფლობელთა თასს და სამჯერ — უეფას თასს, ხოლო „მილანი" ჩემპიონთა თასის ოთხგზის ლაურეატია, გარდა ამისა, ორჯერ გახლდათ თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული.

18 მაისის ფინალური მატჩი ათენის ოლიმპიურ სტადიონზე, მართლაც, საინტერესო გამოდგა, მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, „ბარსელონამ" ვერაფერი გააწყო შესანიშნავად მომზადებულ მეტოქესთან და პირწმინდად წააგო თამაში, თუმცა „მილანს", ამ დღეს აკლდა ორი წამყვანი სტოპერი — ფრანკო ბარეზი და ალესანდრო კოსტა-კურტა. ჯერ, 22-ე წუთზე, დანიელ მასარომ გაიტანა პირველი გოლი, შემდეგ მანვე ანგარიში **2-0**-მდე გაზარდა, შესვენების შემდეგ კი დეჟან სავიჩევიჩმა და მარსელ დესაიომ თითო ბურთი გაიტანეს და მოამთავრეს „ბარსელონის" საბოლოო განადგურების საქმე — **4-0**. ბარსელონელთა საუკეთესო ფეხბურთელები კუმანი, რომარიო, სტოიჩკოვი და სხვანი ფინალში აშკარად უმწეოდ გამოიყურებოდნენ.

## ცნობები სპორტული ფედერაციებიდან

● **ფეხბურთი.** შეთანხმების თანახმად, საქართველოს ეროვნული ნაკრები ორ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავს: **26** ივნისს — რიგაში ლატვიის ნაკრებთან, ხოლო მანამდე **11** ივნისს ნიგერიის ეროვნულ ნაკრებს შეხვდება. ორივე მატჩს ჩვენი გუნდი სტუმრად ჩაატარებს.

● **ჭადრაკი.** გამოცხადდა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც გაემგზავრება ქალთა ოლიმპიადაზე: ნანა იოსელიანი, მაია ჩიბურდანიძე, ქეთინო არახამია, ნინო გურიელი და ორი კანდიდატი: ნინო ხურციძე, ნათია ჯანჯღავა, ოლიმპიადა წლეულს, **12-30** ნოემბერს ჩატარდება სალონიკში.

● **საჭადრაკო** კომპოზიციების ამოხსნის წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში (ივლისი) მონაწილეობას მიიღებს თბილისელი საერთაშორისო დიდოსტატი დავით გურგენიძე, რომელმაც გაიმარჯვა საქართველოს პირად ჩემპიონატში. საჭადრაკო კომპოზიციაში (ეტიუდებში) მსოფლიოში სულ ოთხი საერთაშორისო დიდოსტატია. მათ შორისაა დ. გურგენიძე.

● **კალათბურთმა** არა მარტო გამოაცოცხლა ჩვენი ქვეყნის სპორტული ცხოვრება, არამედ სპორტში საქმიანობის საჯაროდ განსჯის მაგალითიც მოგვცა. ამის დასტური იყო ჟურნალისტთა სახლში კალათბურთის ფედერაციის, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ხელმძღვანელებისა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული პრესკონფერენცია.

## ყოველდღე ვკარგოთ თითო იმედი?

**სამბო.** მსოფლიო თასის გათამაშება (კსტოვო, რუსეთი). მიღებული ცნობით ჩვენებიდან მეორე ადგილზე გავიდა კასპელი ივანე გამხიტაშვილი (**90** კგ), თბილისელი ბესიკ ოდიშვილი (**52**) კი — მესამე იყო. კსტოვოში **9** ფალავანი გაემგზავრა. ამბობენ, მხოლოდ ხუთმა იჭიდავა. რა მოხდა? დაველოდოთ დელეგაციის დაბრუნებას. დასანანია, რომ თითქმის ყოველდღე ვკარგავთ ჩვენი ფალავნების იმედს.

## ნერწყვის მომდენი შიშველი ემანსიპაცია

ეს მართლაც სენსაცია იყო, ყოველ შემთხვევაში, ბრაზილიის სპორტულ წრეებში ამ ამბავმა თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. არადა ბრაზილიაში — კარნავალებისა და მეჯლისების კლასიკურ ქვეყანაში — ქალის სიშიშვლით ვერავის გააკვირვებ.

ეს განსაკუთრებული შემთხვევა გახლდათ, განსაკუთრებული იმიტომ, რომ ყველასათვის მოულოდნელად გაშიშვლდა ბრაზილიის ქალთა კალათბურთის საუკეთესო მოთამაშე ბოლო ექვსი წლის მანძილზე, პორტენზია მაკარი (პირველად ეს ტიტული 1988 წელს მოიპოვა და მას შემდეგ არ დაუთმია არავისთვის). ამერიკულმა ჟურნალმა „პლეიბოიმ" დაბეჭდა მისი 12 ფოტოსურათი, ისეთები, მამაკაცს რომ ნერწყვს მოადენს.

სენსაციის ავტორმა, უფრო სწორად მიზეზმა, თავის ამ უცნაურ გადაწყვეტილებას ასეთი კომენტარი გაუკეთა: „დიდი ხანია მინდა დავამტკიცო, რომ სპორტსმენი, კერძოდ კი კალათბურთელი, თავის საქმესაც კარგად და კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდეს და ლამაზადაც გამოიყურებოდეს. მედლებითა და სხვადასხვა ტურნირში გამარჯვებით შეიძლება პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილო, მაგრამ ქალი უნდა იყოს ქალი და ამიტომაც უნდა ცდილობდეს მოაწონოს თავი მამაკაცებს".

პორტენზიას მიაჩნია, რომ დიდმა სპორტმა აერობიკის მსგავსად ფორმა უნდა შეუნარჩუნოს ქალს, ლამაზი და მომხიბვლელი გახადოს იგი. სწორედ ამიტომ გულწრფელად არის შეძრწუნებული, როცა უყურებს თოჯინებივით დაპატარავებულ ტანმოვარჯიშეებს და მამაკაცების მსგავსად დაკუნთულ მტყორცნელებს, ან კიდევ ახლადგამომცხვარ ძალოსან ქალებს. პორტენზიას მიაჩნია, რომ კალათბურთი, ფიგურული ციგურაობა და ცურვა წმინდა ქალური სპორტია, ამიტომ არც დამღუპველ დიეტას საჭიროებს, არც მამაკაცების მსგავს კუნთებს. ამ სახეობებში ქალებს მაღალ სპორტულ შედეგებზე შეუძლიათ ფიქრი ისე, რომ არ დაკარგონ ქალური სილამაზე და ღირსება.

ჩემთვის, განაცხადა მან, იოლი არ იყო დავთანხმებოდი „პლეიბოიში" პოზირებას. ვიცოდი, ამას მოჰყვებოდა ჭორები, ათასგვარი მითქმა-მოთქმა, ბევრი ალბათ დღესაც მკიცხავს სითამამისთვის, მაგრამ მე თვალწინ მაქვს ნატალია ნეგოდას მაგალითი (რუსული ფილმის „პატარა ვერას" მთავარი გმირი), რომელმაც, ჩემი აზრით, ქალთა ემანსიპაციას ახალი მიმართულება მისცა. სპორტსმენები კი იგივე მსახიობები არიან, ვინაიდან სპორტი თამაშია, სპექტაკლი ლამაზი და მომხიბვლელი შოუ. ამიტომ მე ემანსიპაციის მომხრე გახლავართ, რომელიც კრძვსა და ძალოსნობაში კი არ იქნება გამოხატული, არამედ სპორტსმენის ქალურ სინატიფეში.

## სომხურ თეატრში აფეთქებამ ფეხბურთიც დააზარალა

ამ დღეებში თბილისში უნდა ჩამოსულიყო ლიხტენშტეინის ფეხბურთელთა გუნდი ჩვენს ეროვნულ ნაკრებთან ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. სამწუხაროდ, მოვიდა ფაქსი, სადაც ნათქვამია, რომ თბილისში სომხურ თეატრში მომხდარი აფეთქების გამო, რომელიც მძიმე შედეგებით დამთავრდა, გუნდი უარს აცხადებს სტუმრობაზე.

## საქართველოში ბალახის ჰოკეი 20 წლისაა



20 წელიწადი გავიდა საქართველოში ბალახის ჰოკეის დაარსებიდან. ამ საქმის თაოსანი იყო ჩვენი თანაქალაქელი თეიმურაზ არჩაია. ყველას ახსოვს ქუთაისის „ლოკომოტივის" წარმატებები ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველობებზე და საერთაშორისო ტურნირებში.

ამ თარიღის აღსანიშნავად, საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაციამ, ქუთაისის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში ჩაატარა შეჯიბრება მინიჰოკეიში. ქუთაისის „იმერეთის", „აისის", განათლების განყოფილების სპორტსკოლის, „ქუთაისი-93"-ის, წყალტუბოს „ხომლის" გუნდების მონაწილეობით. შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოდიოდა ქუთაისის „უქიმერიონის" ქალთა გუნდი, რომელიც საქართველოს ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული.

ფინალური შეხვედრა „იმერეთისა" და „აისის" გუნდებს შორის ორმხრივი იერიშებით დაიწყო და მალე გამოიკვეთა „იმერეთის" ჰოკეისტების უპირატესობა.

ანგარიში მე-4 წუთზე გახსნა ზ. ჩარკვიანმა („იმერეთი"), მანვე ექვსი წუთის შემდეგ მეორედ აიღო „აისის" კარი — 2:0. მე-12 და მე-14 წუთებზე კობა ახვლედიანმა ორი საპასუხო ბურთით აღადგინა წონასწორობა. დარჩენილ დროში ზ. ჩარკვიანმა, ა. კოხრეიძემ (2), მ. ფულარიანმა, ვ. დათიაშვილმა, გ. ჩარკვიანმა, ხუთი ბურთი გაიტანეს და გამარჯვება „იმერეთს" დარჩა — 8:2 (მწვრთნელები თ. არჩაია, ჭ. ბაზაძე).

მესამე საპრიზო ადგილისათვის განათლების განყოფილების სპორტსკოლამ 5:1 გაიმარჯვა „ქუთაისი-93"-ის გუნდთან შეხვედრაში.

• • •

ერთი კვირით ადრე ბათუმში ჩატარდა საქართველოს პირველობა ბალახის მინი-ჰოკეიში ქალთა გუნდებს შორის. წარმატებით გამოვიდა ქუთაისის ნაკრები (მწვრთნელი ა. თედორაძე), რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა. მეორე იყო ბათუმის, მესამე — ქუთაისის განათლების განყოფილების სპორტული სკოლის გუნდი. ეს შეჯიბრებაც საქართველოში ბალახის ჰოკეის დაარსების 20 წლისთავს მიეძღვნა.

ქუთაისში ვაჟთა ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მოეწყო შეხვედრა პირველი თაობის ვეტერან ჰოკეისტებთან.

ლერი ფაჩუაშვილი
„ლელოს" კორ. ქუთაისი.

ლვაწლი

# ღმერთმა აგაშენოთ, ბატონო ოთარ!

**ოთარ მიმინოშვილს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა, იცნობს როგორც წარსულში სახელგანთქმულ წყალბურთელს, დღეს როგორც ღვაწლმოსილ მეცნიერს და სტუდენტ სპორტსმენთა დაუღალავ ქომაგს, უნივერსიტეტის სპორტკლუბის ღირსეულ პრეზიდენტს.**

ბატონი ოთარი დიდი ხანია თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობს. ბევრისგან განსხვავებით იგი თავის ნიჭსა და უნარს, ენერგიას და თავისუფალ დროს სპორტსაც უწილადებს, მის გარეშე წარმოუდგენელია უნივერსიტეტის სპორტული ცხოვრება და რაკი ამ სასწავლებელს წამყვანი ადგილი უკავია — რესპუბლიკის სპორტიც. ქართული სპორტისადმი ამ განათლებული, ღრმად ერუდირებული, ყველა ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნების უანგარო სამსახურის შედეგია, რომ ჩვენს დუხჭირ ყოფაში უნივერსიტეტში არ ჩამკვდარა სპორტული ცხოვრება. აურწყავია სიკეთე, რაც მას გაუღია ახალგაზრდებისთვის. ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია მიმართოს, სთხოვოს დახმარება. ისიც მუდამ მზადაა ყველას გვერდში ამოუდგეს, გაუგოს, დაეხმაროს პრობლემების მოგვარებაში, იხსნას გაჭირვებისაგან. სპორტსმენმაც იცის, რომ მათ უნივერსიტეტში ჰყავთ მუდამ ერთგული მფარველი და ქომაგი, ბრძენი დამრიგებელი, რომელსაც დაეჯერება.

დღეს ძნელია სპორტის სახეობების შენარჩუნება, ძნელია შეაჩერო სპორტსმენი, რომ სპორტს ზურგი არ შეაქციოს. სწავლისა და სპორტის შეხამება ადვილი არასოდეს ყოფილა, მაგრამ თუკი ვინმემ იცის, როგორ მიუდგეს ამ საკითხს, ეს ყველაზე უკეთ თავად ყოფილმა სპორტსმენმა, ბატონმა ოთარმა იცის. არაერთ სახელოვან სპორტსმენს მისი უშუალო თანადგომით მიუღია უმაღლესი განათლება უნივერსიტეტის კედლებში. არ არსებობს პრობლემა, რომელიც შესანიშნავმა ორგანიზატორმა, სპორტკლუბის პრეზიდენტმა არ მოაგვაროს. ასე იზრდებიან უნივერსიტეტში ბატონი ოთარის ხელდასმით სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილი მამულიშვილები. ეს კაცი სპორტის ახალი სახეობების დანერგვის თაოსნადაც გვევლინება. სულაც არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ბატონ ოთარის სახელთან და ღვაწლთანაა დაკავშირებული უნივერსიტეტელ ათლეტთა საამაყო წარმატებები რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე.

არც ისე დიდი ხნის წინათ, საქართველოში მკლავჭიდის დანერგვის იდეით ანთებულებს ბეგო ბეჟუაშვილმა მირჩია დახმარებისთვის ბატონ ოთარისთვის მიგვემართა. დაგვეხმარა და მერე როგორ. მაშინდელი პრორექტორი; სპორტზე უაღრესად შეყვარებული პიროვნება, ბატონი ვახტანგ გოგუაძე თავადაც უმალვე ამოგვიდგა მხარში. მათი დახმარებით გაჩნდნენ მეცენატები, საქმის ენთუზიასტები და ფაქტობრივად უნივერსიტეტში ჩაისახა მკლავჭიდის ფედერაციის ბირთვი, რომლის მეშვეობით გავედით მსოფლიო ორბიტაზე. ამის დაუნახობა და დავიწყება არ შეიძლება. ეს ჩვენი სპორტის ისტორიის სასახელო ფურცელია, დაკავშირებული უნივერსიტეტის საამაყო სპორტულ ტრადიციებთან. მკლავჭიდში საქართველოს პირველი ჩემპიონატიც ხომ უნივერსიტეტში გაიმართა. მაშინ გულითადად დაგვილოცა გზა ბატონმა ოთარმა და ჩვენც არ გავუმტყუნეთ იმედები — მოვიგეთ ყველა რანგის და სიმლიერის ტურნირები, ბოლო ორი წელია ევროპაში ჩვენ გუნდს ბადალი არა ჰყავს, წლეულს კი კალიფორნიაში ამერიკელ პროფესიონალებს გუნდურ და აბსოლუტურ პირველობაში ვძლიეთ.

ვინ მოთვლის რამდენ ასეთ წარმატებაშია ჭეშმარიტი მამულიშვილის, ბატონ ოთარ მიმინოშვილის წვლილი. ამიტომ უყვარს ყველას ჩვენი „დულულო". ამ სიყვარულმა და მადლიერების გრძნობამ დამაწერინა ეს წერილი.

ვახტანგ მუსელიანი,
პარლამენტის წევრი,
მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი.





თბილისის 10 რაიონის მონაწილეობით ჩატარდა მოსწავლეთა III სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ველოსპორტში (მთავარი მსაჯი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ი. გოცირიძე). გაიმარჯვა დ. შათირიშვილმა (ჩუღურეთი, 37-ე სკოლა), მეორე იყო რ. ცხოვრებაძე (დიდუბე, 25-ე სკოლა), მესამე კი — კ. ჩიხლაძე (ჩუღურეთი, მე-20 სკოლა). გუნდური ადგილები: 1. დიდუბე, 2. ჩუღურეთი, 3. გლდანი.

სურათებზე: სტარტის წინ; კვარცხლბეკზე არიან: დ. შათირიშვილი, რ. ცხოვრებაძე, კ. ჩიხლაძე (თედო ნიკოლაიშვილის ფოტოები).

**ქართული სპორტული ტერმინოლოგიის შედგენის აუცილებლობას ჯერ კიდევ ამ საუკუნის მეორე ათწლეულში მოჰკიდეს ხელი ენთუზიასტებმა. მაშინ პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში სპორტული ტერმინების დასადგენად. შემდგომში, განსაკუთრებით 80-იან წლების მეორე ნახევარში, სპორტის სახელმწიფო კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარის, აწ განსვენებულ ნ. ენდელაძის მოთხოვნით, კვლავ დაისვა ეს საკითხი, მაგრამ მაშინ, დრო დადგა ისეთი, ერთი-ორი შეკრების გარდა საქმე წინ არ წასულა.**

ახლა კვლავ მივუბრუნდით ამ საშურ საქმეს. ჩვენი ნაბიჯი მოკრძალებულია — ქართულ ენაზე დღემდე გამოცემული ლექსიკონებიდან ამოვკრიბავთ სპორტთან დაკავშირებულ სიტყვათა განმარტებებს. უკვე დადგენილი და ქართულ ენაში დამკვიდრებული სპორტული ტერმინების ერთად თავმოყრაც დიდ საქმედ მიგვაჩნია, რაც, ვფიქრობთ, გარკვეულწილად გაუადვილებს ჯაფას, ვინც ადრე თუ გვიან, მაინც რუდუნებით შეუდგება საქმის ბოლომდე გასრულებას. წყაროდ შევარჩიეთ სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული", „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" რვატომეული, ალ. ღლონტის „ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონა" და „უცხო სიტყვათა ლექსიკონი". ამოკრებილ ტერმინებს ძირითადად ვაქვეყნებთ იგივე წესით, როგორც ის დედანშია, ოღონდ ლიტერატურული მაგალითებით დამოწმების გარეშე. სიტყვის, თუ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, ჩვენ მხოლოდ შესატყვის სპორტულ განმარტებას მოვიტანთ, ერთ-[illegible]ი დასახელებული წყაროდან.

## სპორტული ლექსიკონი

**[illegible]ხარიკებ-ს** (აათოხარიკა, აუთოკებია), თოხარიკით აიყვანს, თოხარიკით სვლას და აწყებინებს. ცხენი აღმართზე აათოხარიკა.

**აცდენ-ს** (ააცდინა, აუცდენია)... გასროლილს (ტყვიას...), ვერ მოახვედრებს, მიზანს ვერ მოახვედრებს...

**აჭენებ-ს** (ააჭენა, აუჭენებია), ჭენებით აიყვანს, — აიჯირითებს.

**ახტებ-ა** (აახტა, ახტომია), ახტომით შეაჯდება, — შეასკუპდება.

**აეროთერაპია** (ბერძნ.), ატმოსფერული ჰაერით მკურნალობა (ჰაერის აბაზანები და სხვ.).

**აბიზ-ბაზიზ** (კუთხ. ქიზიყ.), ბავშვთა თამაშია.

**აბზინდა, აბზინდ-ი** (აბზინდისა) ლითონის ენიანი შესაკრავი ქამრისა, ცხენის მოსართავისა და მისთანათა (შდრ. ბალთა).

**აბლაყ-ი** (აბლაყისა), იგივეა, რაც ამლაკი.

**აბჟანდ-ი** (აბჟანდისა), იგივეა, რაც ავჟანდა, — უზანგი (ლიტერატურულად უპირატესია უზანგი).

**აბჟანდიან-ი** (აბჟანდიანისა) იგივეა, რაც ავჟანდიანი, — უზანგიანი (ლიტერატურულად უპირატესია უზანგიანი).

**აბრაგან-ი** (აბრაგანისა), ბურთის ჩოგნის აღმა აკვრა (საბა). აბრაგანი ჰკრა.

**აბურთავებს** (აბურთავა, უბურთავებია), ბურთივით ათამაშებს...

**აგელვებ-ს** (აგელვა, უგელვებია), ლაღად აჭენებს, ანავარდებს (ცხენს).

**ავარჯიშებ-ს** (ავარჯიშა, უვარჯიშებია), განმეორებული მოქმედებით, სისტემატური მუშაობით ავითარებს, ჩვევებს უნერგავს, — წვრთნის.

**ავიამოდელ-ი,** საფრენი აპარატის (თვითმფრინავის, პლანერის...) მოქმედი მოდელი.

**ავიამოდელიზმ-ი,** ავიამოდელების აგება.

**ავიამოდელისტ-ი,** სახალისო ავიამოდელიზმის მიმდევარი.

**ავიასპორტ-ი** (ავიასპორტისა) სპორტის განსაზღვრული სახეობა, რომელიც ფრენასთან არის დაკავშირებული, — სპორტული ფრენა.

**ავჟანდ-ი, ავჟანდა** (ავჟანდისა), უნაგირის ნაწილი, ფეხის შესადგმელი, უზანგი (ლიტერატურულად უპირატესია უზანგი).

**ავტოდრომ-ი** (ავტოდრომისა), — სპორტ. მოედანი ავტომობილების შეჯიბრებისათვის.

**ავტომობილიზმ-ი** (ფრანგ.), 1. საავტომობილო სპორტი. 2. საავტომობილო საქმე.

**ავტომობილისტ-ი,** პირი, რომელიც ავტომობილიზმს მისდევს...

**ავტორალ-ი,** იხ. რალი.

**ავშარა** (ავშარისა), ულაგმო აღვირი.

**ავშარიან-ი** (ავშარიანისა), ავშარაასხმული, რასაც ავშარა აქვს გაკეთებული.

**აზალყოზალაობა** (კუთხ., კახ., თუშ.) ბავშვთა თამაშია ერთგვარი.

(გაგრძელება იქნება)

## მოკლედ...

### ბორჯომი მძლეოსანთა ქალაქის [illegible]

ჭაბუკ მძლეოსანთა პირად-გუნდურ რესპუბლიკურ პირველობაში (თბილისი) სპორტსკოლებს შორის, ყველასათვის მოულოდნელად თავი გამოიჩინეს ბორჯომელმა მძლეოსნებმა საქართველოს განათლების სამინისტროს ნაკრებში რამაზ ჩადუნელმა (800 მ), მიხეილ შეჩენკომ (3000) და დავით გოგოლაძემ გამარჯვებები მოიპოვეს, ხათუნა გელაშვილი (1500) მეორე იყო. აღსანიშნავია, აგრეთვე, ვანელი ქეთინო აბრამიძის წარმატება 300 მეტრზე რბენაში. ნამდვილად შესაქებია მწვრთნელების ვალერი ყადანის (ბორჯომი) და ვალერი როხვაძის გარჯა.

თბილისელთაგან გაიმარჯვეს ალენა ტემჩინამ, რომელმაც 175 სმ სიმაღლე დაძლია და იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში (პორტუგალია, ივლისი) მონაწილეობის უფლება მოიპოვა, ირინა ძებისაშვილმა (200), ლელა საფაროვამ (100) და ბადრი ხეხელაშვილმა (400). გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. განათლების სამინისტრო — 18649 ქულა, 2. თბილისის განათლების სამმართველო — 16434, 3. „შევარდენი" — 14453. აღსანიშნავია, რომ მეოთხე იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის ექსპერიმენტული კომპლექსური სპორტსკოლა, რომელიც შეჯიბრებაზე კონკურსგარეშე დაუშვეს (12.004 ქულა).

II ჯგუფი. 1. ქუთაისი — 5002 ქულა, 2. რუსთავი — 1925 (სპეციალიზებულ სპორტსკოლებში დამოუკიდებლად მხოლოდ ეს ორი გუნდი გამოდიოდა).

გუშინ გვაცნობეს, რომ ბორჯომში მძლეოსანთა ჯგუფების ხარჯზე გაიხსნება სპეციალიზებული სპორტსკოლა, რასაც მხარს უჭერს რაიონის გამგებელი ჯუმბერ კურტანიძე, განათლების სამინისტრო და სპორტის დეპარტამენტი, ბორჯომში აღდგება სტადიონის მძლეოსნური ბილიკები. ოპერატიულობაც ასეთი უნდა!

### უფულოდ სად წახვალ...

მშვილდოსნობა. საქართველოს პირველობა („მართვეს" სტადიონი). ბარსელონის ოლიმპიადაზე პირველად „ფიტას დიდი წრე" შეიცვალა „ფიტას ოლიმპიური წრით" და ნაცვლად ოთხისა, შეჯიბრებები ახლა ეროვნულ ფედერაციებშიც ორ ეტაპად ტარდება. ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ვაჟებისთვის 1 ეტაპზე ოთხ დისტანციაზე (90, 70, 50, 30 მ) გაიმართა ასპარეზობა, ქალები კი 70, 60, 50 და 30 მეტრზე ისროდნენ. II ეტაპზე შეჯიბრება გააგრძელა 8-8 უძლიერესმა მხოლოდ 70 მეტრ დისტანციაზე, ფინალში კი 4-4 საუკეთესო გავიდა. ვაჟებში ადგილები ასე განაწილდა: 1. თამაზ ბასილაძე (ბათუმი), 2. სერგო გათიკაევი, 3. მერაბ სვანიძე (ორივე — თბილისი). ქალები: 1. ასმათ დიასამიძე (ბათუმი), 2. ხათუნა ნარიმანიძე, 3. ლელა თოფურია (ორივე — თბილისი). ერთი თვის შემდეგ პოლონეთში უნდა გაიმართოს ევროპის თასის ეტაპი, სადაც, თუ სახსრები გამოინახა, ზემოხსენებული მშვილდოსნები გაემგზავრებიან.

• • •

ფარიკაობა. საქართველოს პირველობა იუნიორთა შორის (თბილისი). ახალი წესებით ორ სპორტსმენს ეძლევა III ადგილი. რაპირა. ჭაბუკები: 1. კობა ბარდაველიძე (ქუთაისი), 2. ირაკლი ლაღანიძე (თბილისი), 3. კოტე გიგინეიშვილი (თბილისი), რამაზ ლომთაძე (ქუთაისი). გოგონები: 1. ანა დოლონაძე (ქუთაისი), 2. მეგი გრძელიძე (თბილისი), 3. თეა ბეჟიაშვილი, თამარ ჭუმბურიძე (ორივე — თბილისი). ხმალი. ჭაბუკები: 1. ალექსანდრე ჩიტიშვილი, 2. ზაზა ლიპარტია (ორივე — თბილისი), 3. გიორგი ჭოლაძე (ქუთაისი), ზაზა გოგალაძე (თბილისი). დაშნა. ჭაბუკები: 1. გიორგი ნიკლაური, 2. ალექსანდრე ზურაბიშვილი, 3. ალექსანდრე ჩანტლაძე, გიორგი რუაძე (ყველა — თბილისი); გოგონები: 1. ლუსინე ხაჩატუროვა (თბილისი), 2. თეა შენგელია, 3. ეთერ მახვილაძე, ლელა ჭილაშვილი (ყველა — ქუთაისი).

• • •

ჭადრაკი. საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი, რომელშიც პირველად მონაწილეობს სამი დიდოსტატი და ამით ასპარეზობას VI კატეგორიის სტატუსი აქვს (შეიძლება საერთაშორისო ოსტატის ბალის მოპოვება), დიდ იტერესს იწვევს. გათამაშდა 10 ტური. ლიდერობს საერთაშორისო დიდოსტატი ლ. ჯანჯღავა — 8 ქულა, თ. ტაბატაძეს და ხ. სუპატაშვილს — 7-7 ქულა აქვთ.

• • •

კალათბურთი. ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი. ფინალური ექვსეულის II ტური: „ვითა" — „აზოტი" 94:79, „დინამო" — „თბილისი" 76:72, „კაქტუსი" — „თორსი" 100:80, „თბილისი" — „აზოტი" 98:85, „ვითა" — „თორსი" 101:72, „კაქტუსი" — „დინამო" 95:84.

მოკლედ...

WORLD CUP '94

## ფეხბურთში 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი

# შვეცია

შვეციის ფეხბურთელთა ნაკრებმა VI ევროპული შესარჩევი ჯგუფიდან ღირსეულად მოიპოვა მსოფლიო პირველობის ფინალის საგზური. 10 თამაშიდან მან მოიგო 6, სამი ფრედ დაამთავრა, მხოლოდ ერთი წააგო და 15 ქულით (ბურთები 19-8) პირველი ადგილი დაიკავა.

მწვრთნელი თომას სვენსონი, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდი ევროპის 1992 წლის ჩემპიონატშიც გამოდიოდა, შემადგენლობის ძირფესვიანად შეცვლას არ აპირებს. ისინი, ვინც კარგად გამოდიოდა ევროპის პირველობაზე და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში, კვლავ მწყობრში არიან.

კარს კვლავ თომას რაველი (დაიბ. 1959 წ.) იცავს. საინტერესოა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთაგან მხოლოდ ის და გერმანელი მათეუსი შედიან მეტად პრესტიჟულ „ასიანთა კლუბში“, იმ ფეხბურთელთა სიაში, რომელთაც ეროვნულ ნაკრებში 100 და მეტი მატჩი აქვთ ნათამაშევი. რაველი ჯერჯერობით, სულაც არ აპირებს თავი დაანებოს თამაშს. ვნახოთ, სანამდე წაიწევს იგი წინ ამ „რანგ-ლისტში“, რომელსაც სადღეისოდ განთქმული ინგლისელი მეკარე პიტერ შილტონი (125 მატჩი) უდგას სათავეში. დაცვაში ადგილი გარანტირებული აქვთ როჯერ ლუნგს (1966), როლანდ ნილსონს (1963) და პატრიკ ანდერსონს (1967). მათთან ერთად მწვრთნელმა რამდენიმე ახალგაზრდა კანდიდატიც გამოსცადა.

შუა ხაზზე დიდი კონკურენციაა. იონას ტერნი (1967) 1988 წელს ბრწყინვალედ თამაშობდა სეულის ოლიმპიადაზე, შემდეგ ლისაბონის „ბენფიკამ“ მიიწვია. ამავე გუნდში რამდენიმე კარგი სეზონი გაატარა სტეფან შვარცმა (1969). ანდერს ლიმპარი (1965), რომელიც ლონდონის „არსენალში“ თამაშობს, ეროვნებით უნგრელია, მისი მამა კი შვეციაში გადასახლდა. ანდერსი შავგვრემანია და გარეგნობითაც მკვეთრად გამოირჩევა ქერათმიანი პარტნიორებისგან. საიმედოდ ადუღაბებს გუნდს ლიმპარი, მოქმედებს დიდ დიაპაზონზე, ძლიერად ურტყამს კარში. ძლიერი ნახევარმცველია კლას ინგესონიც (1968).

სვენსონს რამდენიმე მაღალი კლასის თავდამსხმელი ჰყავს. კენეტ ანდერსონი (1967) კარგა ხანია ბელგიის „მეჰელენში“ გამოდის. სტეფან პეტერსონი (1963) წლევანდელ სეზონში წარმატებით თამაშობდა ამსტერდამის „აიაქსში“, რომელმაც ერთხელ კიდევ მოიპოვა ჰოლანდიის ჩემპიონობა. სტეფან რენი (1966) პოპულარულია შვეციაში. და მაინც, თავდასხმაში ძირითად იმედებს თომას ბროლინსა (1969) და მარტინ დალინზე (1968) ამყარებენ. საინტერესოა, რომ თავის დროზე, როცა დადგა ბროლინის „ნორჩეპინგიდან“ წასვლის საკითხი, მასზე პრეტენზია განაცხადა უცხოეთის ოცმა კლუბმა. ბროლინმა აირჩია „პარმა“, რომლის შემადგენლობაში შარშან, როგორც ცნობილია, თასების მფლობელთა თასს დაეუფლა, წლეულს კი ამავე თასის ფინალში ითამაშა. შვედი გულშემატკივრები მას ამ ქვეყნის უდიდესი ფეხბურთელების ჰუნარ ნორდალისა და ლენარტ სკოგლუნდის ღირსეულ მემკვიდრედ მიიჩნევენ. ბროლინს მართლაც დიდი ღირსებები აქვს — გოლის გატანის გრძნობა, კომბინაციური ნიჭი, დიდი სისწრაფე, შეუპოვრობა და სიმტკიცე. იგი ხან წმინდა თავდამსხმელად თამაშობს, ხან საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებს და მინდვრის სიღრმეში მოქმედებს. ბროლინს სულაც არ წყინს, როცა ამ შემთხვევაში ნაკლები გოლი გააქვს: „ჩვენ გვყავს სხვა სნაიპერებიც“ — ხშირად ამბობს იგი.

მარტინ დალინი, შავკანიანი ფორვარდი, პირველად 1988 წელს გამოჩნდა „მალმეს“ შემადგენლობაში და მაშინვე მიიქცია საყოველთაო ყურადღება. იგი არა მარტო ამ გუნდის წამყვანი ფეხბურთელი გახდა, არამედ ეროვნულ ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი. აქ თავისი დებიუტის პერიოდში ორი გოლი გაიტანა ავსტრიელთა კარში და კიდევ ორი — დანიელებთან. შემდეგ იგი ბუნდესლიგაში გადავიდა და თავი გამოიჩინა მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“.

ერთი სიტყვით, თომას სვენსონი ამერიკაში ძლიერი ნაკრებით მიემგზავრება. იგი მიიჩნევს, რომ გუნდი კარგად მოემზადა, მაისში შვედები კოპენჰაგენში ხვდებიან დანიელებს, ივნისში ნორვეგიელებთან ითამაშებენ, მერე კი აშშ-ში გაემგზავრებიან.

რომელი ადგილის პრედენტენტებად მიაჩნიათ შვედები? ექსპერტები ფიქრობენ, რომ გუნდი წარმატებით ითამაშებს წინასწარ ჯგუფში და მერვედფინალში გავა. შემდეგ? შესაძლოა შვედები არ შემოიფარგლონ ამ პირველი საფეხურის დაძლევით, მათ მეტიც ძალუძთ.

# ამერიკის შეერთებული შტატები

მსოფლიო-ჩემპიონატების მასპინძელი ქვეყანა ყოველთვის განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობს. რა თქმა უნდა, დიდი შეღავათია, როცა მის ნაკრებს შესარჩევი თამაშებისგან ათავისუფლებენ, მაგრამ, მეორე მხრივ, გულშემატკივრები მასპინძლებისგან ყოველთვის წარმატებას ითხოვენ, ამის მიღწევა კი ხშირად შეუძლებელია. შეგვიძლია გავიხსენოთ ესპანელთა მარცხი 1982 წელს, როცა მათგან ბევრნი მსოფლიო ჩემპიონობას მოელოდნენ, ისინი კი დამარცხდნენ...

აშშ-ს ნაკრები, რომლისაგან რაიმე დიდ მიღწევას ამჟამად არავინ ელის, დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე მსოფლიო ჩემპიონატებზე. თუ რამით დაგვამახსოვრა თავი, ეს იყო 1950 წელს, როცა სრულიად მოულოდნელად, ინგლისელები დაამარცხა (1-0). მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში 1990 წელს, ამერიკელებმა 3 მატჩი გამართეს და სამივე წააგეს: ჩეხოსლოვაკიელებთან 1-5, იტალიელებთან 0-1 და ავსტრიელებთან 1-2. ზოგი მოთამაშე ექსპერტებს მაინც დაამახსოვრდათ, პირველ რიგში კი საიმედო მეკარე მეოლა და დირიჟორი კალიგიური.

ბუნებრივია, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყანა საგანგებოდ ემზადება ხოლმე. აი, ამჯერადაც მასპინძლებმა „მომგებიანი სვლა“ გააკეთეს და ნაკრებს სათავეში ჩაუყენეს გამობრძმედილი სპეციალისტი, რომლის ავტორიტეტი ფეხბურთის სამყაროში მეტისმეტად მაღალია. 52 წლის ბორა (ველიბორ) მილუტინოვიჩი არასოდეს ყოფილა დიდი ფეხბურთელი (ასეთი ნამდვილად იყო მისი უფროსი ძმა მილოშ მილუტინოვიჩი, იუგოსლავიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი), მაგრამ შესანიშნავი მწვრთნელი რომ არის, ეს კი საყოველთაოდ აღიარებული ამბავია. 1986 წელს მისი ხელმძღვანელობით მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ძალიან კარგად გამოიყურებოდა მექსიკის ნაკრები. გავიდა კიდევ 4 წელი ბორა მილუტინოვიჩმა კოსტა-რიკის ნაკრებს ჯერ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზური მოუპოვა, შემდეგ კი იგი იტალიაში მერვედფინალში გაიყვანა.

აშშ-ს ნაკრებთან მილუტინოვიჩი 1991 წლის მარტიდან მუშაობს. მან დაგეგმა აშშ-ს ნაკრების მონაწილეობა რამდენიმე ტურნირში, მიიწვია ევროპის ქვეყნების გუნდები და საწვრთნელი მატჩების სერიით კმაყოფილი დარჩა.

ბორა მილუტინოვიჩმა კარგა ხანია შეარჩია ნაკრების კანდიდატთა ფართო წრე. იგი დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა იმის გამო, რომ უძლიერესი ფეხბურთელები, როგორც წესი, ევროპის სხვადასხვა კლუბში გამოდიან, მათთვის თვალის დევნება კი მწვრთნელს გარკვეულ პრობლემებს უქმნის.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ისევე, როგორც 4 წლის წინათ, მეკარე მეოლა ახლაც სავსებით საიმედოდ მოქმედებს, დაცვის ხაზიც ძირითადად იმ ფეხბურთელებისგან შედგება, რომლებიც იტალიაში გამოდიან (დოილი, პარქსი, არმსტრონგი). მათ მაღალ კლასზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ბუნდესლიგისა და ინგლისის პირველობაზე მონაწილე გუნდების ძირითად შემადგენლობაში გამოდიან. შუა ხაზზე უძლიერესად ითვლება აშშ-ში დიდად პოპულარული ფეხბურთელი კალიგიური, რომლის გადაბირებაც მსოფლიოს წინა ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ერთბაშად რამდენიმე ცნობილ კლუბს სურდა. კალიგიური ძალიან კარგად ერკვევა თამაშში და ყველა შეტევას წარმართავს. მის მხარდამხარ ნახევარდაცვაში გამოდიან გამოცდილი ოსტატები რამოსი, ბალბაო, ვუდრინგი. რუსეთის ნაკრებთან შეხვედრის ფრედ დამთავრების შემდეგ სტუმრების მწვრთნელმა პავლე სადირინმა აღნიშნა ამერიკელთა შუა ხაზის მობილურობა, დიდი დატვირთვით მოქმედების უნარი.

წინა ხაზზე მილუტინოვიჩი დიდხანს ეძებდა ოპტიმალურ ვარიანტს, აქ რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად გამოდიოდა ორი ვეტერანიც: ვინალდა და ვერმესი.

რა შედეგებს ელიან აშშ-ს ნაკრებისგან? როცა 24 ნაკრების წილისყრა მოეწყო, მასპინძლები შედარებით სუსტ „ა“ ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მათ გარდა შვეიცარიელები, კოლუმბიელები და რუმინელები აღმოჩნდნენ. აშშ-ს ნაკრების ხელმძღვანელობა საგანგებო მომზადების შემდეგ თითოეულ მათგანთან წარმატებით ბრძოლას სავსებით შესაძლებლად თვლის, თუმცა სამივე გუნდს, გასაგებია, ამერიკელებზე უკეთესი რეპუტაცია აქვს. ბორა მილუტინოვიჩის სიტყვები რომ მის გუნდს ჩემპიონობისთვისაც კი შეუძლია ბრძოლა, უფრო სარეკლამო ფანდია და არავის სჯერა, მაგრამ მერვედფინალში გასვლა ექსპერტების უმრავლესობას სავსებით შესაძლებლად მიაჩნია, თუ საკუთარი მინდვრის ფაქტორსაც გავითვალისწინებთ. ამის გარეშე რაღა აზრი ექნებოდა ისეთი „ჯადოსანი მწვრთნელის“ მოწვევას, როგორიც ბორა მელუტინოვიჩია.

ბიჭი გამრეკელი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №11, 13, 14, 15.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### პირველი ჯგუფი

XI ტური, 14-15 მაისი

I-X ადგილები

„სამტრედია“ (სამტრედია) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1-2

„დინამო“ (თბილისი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 2-1

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0-3

„დილა“ (გორი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1-1

„ივერია“ (ხაშური) — „დინამო“ (ბათუმი) 0-2: მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ტ. ადეიშვილი, დ. მაღრაძე (ორივე-ზესტაფონიდან).

„ივერია“: გვენცაძე, ვეშაპიძე, ნარმანია, ტოგონიძე, ტყემალაძე, მაქაცარია, ლომიძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი, მინაშვილი.

„დინამო“: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, ვ. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, მუჯირი (ფუტკარაძე), ტულუში, კანტიძე.

გოლები: მაჭუტაძე -2.

ხაშურელებმა სხვადასხვა მიზეზთა გამო მხოლოდ 10 ფეხბურთელის გამოყვანა მოახერხეს, თანაც მათი სათადარიგო მეკარე ტოგონიძე... ნახევარმცველად მოგვევლინა.

დინამოელებმა 20 წუთში ორი გოლი გაიტანეს და გადაწყვიტეს აღარ გაემწვავებინათ ვითარება, ამიტომაც ისინი მშვიდად აკონტროლებდნენ ბურთს, მთელი მატჩის განმავლობაში ბალაძეს ფაქტიურად არ ჰქონია საქმე, თუ არ ჩავთვლით მეორე ტაიმის მიწურულს მაქაცარიას ძლიერ დარტყმას, რომელიც ძელმა მოიგერია.

სასიხარულოა, რომ ეროვნული ჩემპიონატის ბოლო მატჩებს კვალიფიციურად და ობიექტურად უძღვება ლანჩხუთელი მსაჯი ოთარ გუნთაძე, რომელმაც თებერვალში რომში წარმატებით ჩააბარა ნორმატივები „ფიფას არბიტრის“ წოდების მოსაპოვებლად.

XI-XIX ადგილები

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0-2

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „კახეთი“ (თელავი) 3-3

„მრეტები“ (თბილისი) „შუქურა“ ქობულეთი) 0-1

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 1-0.

## „თეთრი არწივი-2“ — თბილისის ჩემპიონი

გაიმართა გადამწყვეტი საფეხბურთო მატჩი „თეთრი არწივი-2“-სა და „ივერიას“ შორის, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა თბილისის ჩემპიონობის საკითხი.

„თეთრ არწივს“ ფრეც ჰყოფნიდა, „ივერიას“ — მხოლოდ გამარჯვება. დაძაბული შეხვედრა მართლაც ფრედ დამთავრდა — 0-0 და ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა „თეთრი არწივისთვის“ (მწვრთნელი თ. მონასელიძე) ჩემპიონობის გასანაღდებლად.

აღსანიშნავია, რომ ფინალური შეხვედრა კარგად იმსაჯა ბრიგადამ მენთეშაშვილის, წერეთლისა და ორდენიძის შემადგენლობით. ხოლო თვით საქალაქო ჩემპიონატი საუკეთესოდ იყო ორგანიზებული.

ფეოკი თმაშელი

## გია შიხიაშვილის სახელობისა

თბილისის კრწანისის რაიონის სპორტკომიტეტისა და საფეხბურთო კლუბ „კავკასიონი-1922“-ს (პრეზიდენტი ამირან აფრიამაშვილი) თაოსნობით მოეწყო ამავე კლუბის ყოფილი მწვრთნელ-მასწავლებლის, აფხაზეთში გმირულად დაღუპული მებრძოლის გია შიხიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი II ტრადიციული ტურნირი 1984 წელს დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის.

ფინალურ ტურნირში წარმატებას მიაღწია „კავკასიონი-1992“-ს გუნდმა (მწვრთნელები გ. ჩიხრაძე, გ.მამულაშვილი), რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. მეორე ადგილი დაიკავა „მზიურმა“, მესამე — „მთვარის გლობუსმა“.

გამარჯვებული გუნდები და საუკეთესო ფეხბურთელები დაჯილდოვდნენ პრიზებით და ფასიანი საჩუქრებით.

„ლელოს“ კორ.

## მარადონას მხარში უდგანან თანაგუნდელები

ბუენოს-აირესი. არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრების წევრებმა ერთსულოვანი უარი განაცხადეს იაპონიას გაემგზავრონ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის, რომელიც მაისის დასასრულს გაიმართება. ასეთია მათი რეაქცია იაპონიის ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე, რომ თავიანთ ქვეყანაში ჩასვლის უფლება არ დართონ გამოჩენილ ფეხბურთელს დიეგო მარადონას. იაპონიაში ასე გადაწყვიტეს მარადონას ძველი „ნარკოტიკული ცოდვების“ გამო.

თვით 33 წლის მარადონამ კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა, რომ ნაკრების ფეხბურთელთა ასეთ პროტესტში მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, პირიქით, თანაგუნდელებს ურჩია ყველაფერი რიგიანად მოიფიქრონ და აწონ-დაწონონ.

არგენტინის ნაკრები ახლა გაცხოველებით ემზადება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისათვის, ამიტომაც ჰქონდა დაგეგმილი იაპონიის ქალაქებში ხიროსიმასა და კობეში ამხანაგური მატჩები გაემართა იაპონიისა და საფრანგეთის ნაკრებ გუნდებთან, მაგრამ თუ იაპონიაში გამგზავრება ჩაიშალა, არგენტინელები უახლოეს ხანებში ითამაშებენ ჩილესა და დანიის გუნდებთან. რაც შეეხება დიეგო მარადონას, იგი ინტენსიურად ემზადება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, მას უკვე მყარი გარანტია აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ვიზის მისაღებად.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ზედიზედ მეორედ მოიპოვა ინგლისის ჩემპიონის წოდება; მანჩესტერის ფეხბურთელებმა 88 ქულა დააგროვეს. მეორე ადგილზეა „ბლეკბერნი“ (83 ქულა), მესამეზე — „ნიუკასლი“.

გასულ შაბათს გაიმართა ინგლისის თასის ფინალური მატჩი. ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ჩელსი“ (ლონდონი). თამაში მოიგო „მანჩესტერმა“ (4-0), რომელმაც, ამრიგად, წლეულს დუბლი შესრულა, ე.ი. ჩემპიონობაც მოიგო და თასიც.

● საფრანგეთი. 8 წლის ხანგამშვების შემდეგ ქვეყნის ჩემპიონობა დაიბრუნა დედაქალაქის „პარი სენ-ჟერმენმა“. „ტულუზასთან“ ანგარიშით 1:0 მოგების შემდეგ ახალ ჩემპიონს 55 ქულა დაუგროვდა და მიუწვდომელი აღმოჩნდა მეტოქეთათვის.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით მარსელის ცნობილი „ოლიმპიკი“ დასჯილია და მომავალ სეზონში ამ ქვეყნის მეორე ლიგაში ითამაშებს.

● ჰოლანდია. ჩემპიონის წოდება, ეს უკვე ოცდამეოთხედ, მოიპოვა ამსტერდამის „აიაქსმა“, რომელმაც 54 ქულა დააგროვა. შარშანდელი ჩემპიონი „ფეიენოორდი“ (როტერდამი) გამარჯვებულს 7 ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილზეა „ეინდჰოვენი“ (44 ქულა).

● იტალია. „მილანმა“ ჯერ კიდევ გათამაშების დამთავრებამდე გაინაღდა პირველი ადგილი. მომდევნო საპრიზო ადგილების რეალური პრედენტენდები არიან „იუვენტუსი“ და „სამპდორია“.

● ბელგია. გათამაშების ლიდერმა „ანდერლეჰტმა“ შინ ანგარიშით 2-0 დაამარცხა „ოსტენდე“, ლიდერს მცირედით ჩამორჩებიან „ბრიუგე“ და „სერენგი“.

● ბულგარეთი. სოფიის „ლევსკიმ“ ადრევე გაინაღდა ჩემპიონის წოდება, მერე კი ბულგარეთის თასის ფინალში ანგარიშით 1-0 დაამარცხა ბლაგოევგრადის „პირინი“.

● ესპანეთი. დამთავრდა მძაფრი კონკურენცია. „ბარსელონასა“ და „დეპორ-

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ტივოს“ შორის ჩემპიონის წოდებისთვის. ბარსელონელმა ფეხბურთელებმა ჩემპიონატის ფინიშზე წარმატებით ითამაშეს, დაამარცხეს მადრიდის „რეალი“ (1-0), „სევილია“ (5-2), ამასობაში „დეპორტივომ“ შინ უაღრესად საჭირო ქულა დაკარგა „ვალენსიასთან“ შეხვედრაში (0-0) და საბოლოოდ მეტოქეებს 56-56 ქულა აღმოაჩნდათ. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით ოქროს მედლები მოიპოვა „ბარსელონამ“, ვერცხლისა — „დეპორტივომ“, ხოლო ბრინჯაოსი — მადრიდის „რეალმა“.

● რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილეებმა. კოლუმბიელებმა ანგარიშით 3-1 დაამარცხეს იტალიის „პარმა“, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებისა და სომხეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა ამერიკელთა გამარჯვებით — 1-0.

# შეხვედრა წარსულთან

კომპიუტერული კალათბურთის მონაცემები განსაკუთრებით საინტერესოა, როცა გარკვეული ისტორიული პერიოდებისა და მოთამაშეთა თაობების შედარება ხდება.

მართლაც, პროფესიული კალათბურთის რომელი ნაკრები იყო უფრო ძლიერი? ის, რომელიც „გრგვინავდა“ 50-იან წლებში, თუ ის, რომლის მონაწილენიც მეტ-ნაკლებად ჩვენცა ვართ, ვთქვათ 80-იანი წლების გუნდი? ამ თემაზე გაუთავებლად შეიძლება დავა, ორთავე მხარისთვის სასარგებლო არგუმენტების მოყვანა, მაგრამ ყოველი ასეთი მოსაზრება მაინც სუბიექტური იქნება, ადამიანის ბუნებიდან და გემოვნებიდან გამომდინარე ინდივიდუალური აზრი და ამდენად მეორე მხრისთვის აშკარად მიუღებელი. ამიტომაც ასეთ დავაში გადამწყვეტ სიტყვას კომპიუტერს აძლევენ, მით უფრო, როცა მას კენ კლოუზის მსგავსი, პროფესიულ კალათბურთში ღრმად ჩახედული სპეციალისტი აპროგრამებს.

მაშ ასე, კომპიუტერმა უნდა გააკეთოს ავტორიტეტული და პროფესიონალური დასკვნა იმაზე, თუ რომელი პერიოდის კალათბურთი იყო უფრო ძლიერი. რა გზით შეიძლება გაკეთდეს ეს? მათი „სამუშაო პირობებში“ დაპირისპირებით, ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ, კომპიუტერული მატჩის მოწყობით 50-იანი და 80-იანი წლების გუნდებს შორის. მაგრამ ასეთ მატჩს წინ უნდა უძღოდეს საკმაოდ შრომატევადი მუშაობა მანქანის მეხსიერებაში ობიექტური მონაცემების შესაყვანად. აი სად ვლინდება პროგრამისტის ნიჭი და უნარი. კენ კლოუზმა თავდაპირველად შეუთანხმა მანქანას თუ რა პირობით ჩატარდებოდა ეს გახმაურებული მატჩი. სულ 8 ასეთი პირობა გამოიკვეთა.

1. გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე კალათბურთის ალჭურვილობა და წესები.

2 მატჩები უნდა ჩატარდეს პლეი-ოფის სისტემით.

3. 50-იანი წლების კალათბურთს უნდა მიეცეს საკუთარი მოედნის უპირატესობა.

4. სერიაში ჩატარდება 7 მატჩი (ორი — შინ, ორი — სტუმრად, ერთი — შინ, ერთი — სტუმრად, ერთიც — შინ).

5. 50-იანი წლების გუნდი შეხვდება 80-იანის ნაკრებს. ასეთივე პრინციპით დაწყვილდებიან 60 და 70-იანელები. გამარჯვებულები ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში.

6. წინასწარ უნდა შეთანხმდნენ მხარეები, რომ გუნდის წევრები აბსოლუტურად ჯანმრთელნი არიან.

7. ყოველმა მოთამაშემ მოედანზე უნდა დაჰყოს სულ მცირე 6 წუთს მაინც.

8. ყოველ სერიას კომპიუტერი გააანალიზებს 40-ჯერ და მხოლოდ ამის შემდეგ შეირჩევა ყველაზე ტიპიური ვარიანტი გუნდებისთვის.

რაც შეეხება შემადგენლობებს და ხუთეულებს, ისინიც კომპიუტერმა შეარჩია დიდი დაკვირვებითა და გულმოდგინებით. ვინაიდან მკითხველი კარგად არ იცნობს 50-იანი წლების პროფესიულ კალათბურთს, ამ გუნდის წევრებს (უფრო სწორად სასტარტო ხუთეულს) უფრო დაწვრილებით წარმოგიდგენთ.

**„50-იანები“.** ცენტრი — ჯორჯ მაიკენი. სიმაღლე — 209 სმ. „მინეაპოლის ლეიკერსი“, ამერიკის პროფესიონალური კალათბურთის პირველი სუპერვარსკლავი, ნბა-ს საუკეთესო სნაიპერი 1949, 50 და 52 წლებში. არჩეულია „კალათბურთის დიდების დარბაზის“ წევრად.

ფორვარდი — ბობ პეტიტი. სიმაღლე 206 სმ. „სენტ-ლუის ხოუკსი“, ნბა-ს 1958 წლის ჩემპიონი, 1956, 59 წლების სნაიპერი, იმავე წლებში აღიარეს ნბა-ს საუკეთესო მოთამაშედ. არჩეულია „კალათბურთის დიდების დარბაზის“ წევრად.

ფორვარდი — დოლფ შეიესი. სიმაღლე 204 სმ. „სირაკიუზ ნეიშნლზი“. ნბა-ს 1955 წლის ჩემპიონი. ექვსჯერ იყო შეყვანილი ეროვნული ლიგის ნაკრების შემადგენლობაში. არჩეულია „კალათბურთის დიდების დარბაზის“ წევრად.

მცველი — ბობ კოუზი. სიმაღლე 185 სმ. „ბოსტონ სელტიკსი“. ნბა-ს 1957 წლის საუკეთესო მოთამაშე. ექვსჯერ იყო ლიგის ჩემპიონი, 10-ჯერ შეიყვანეს წლის საუკეთესოთა ხუთეულში. არჩეულია „კალათბურთის დიდების დარბაზის“ წევრად.

მცველი — ბილ შერმანი. სიმაღლე 185 სმ. „ბოსტონ სელტიკსი“. ნბა-ს ორგზის ჩემპიონი. ყველა ვარსკლავის 1955 წლის მატჩის საუკეთესო მოთამაშე. არჩეულია „კალათბურთის დიდების დარბაზის“ წევრად.

ამ გუნდის სხვა მოთამაშეთა შორის შეიძლება დავასახელოთ „დიდების დარბაზის“ წევრები: პოლ ერაიზინი, ბობ დევისი. ედ მაკოლი, სლეიტერ მარტინი.

არანაკლებ საინტერესოა თუ როგორ განსაზღვრა კომპიუტერმა 80-იანი წლების ნაკრები და ვინ შეიყვანა გუნდის შემადგენლობაში. საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ მათ დღევანდელი კალათბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ, ბევრი მათგანის თამაში კი ტელევიზიითაც უნახავთ.

ჯერ სასტარტო ხუთეულის შესახებ (დასახელებულია ის გუნდები, რომლებშიც მაშინ თამაშობდნენ კალათბურთელები). ცენტრალური თავდამსხმელი — მოზეს მელოუნი („ატლანტა ჰოუკსი“), ფორვარდები — ჩარლზ ბარკლი („ფილადელფია-76“) და ლარი ბიორდი („ბოსტონ სელტიკსი“), მცველები — „მეჯიკ“ ჯონსონი („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“) და მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო ბულზი“). ამ ხუთეულის გარდა 80-იანთა გუნდს წარმოადგენდნენ: აკიმ ოლაჯიუვონი („ჰიუსტონ როკეტსი“), კევინ მაკჰეილი („ბოსტონ სელტიკსი“), ალექს ინგლიში („დალას მევერიკსი“), დომინიკ უილკინსი („ატლანტა ხოუკსი“), მაიკ კუპერი („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“), სიდნი მონკრიფი („ატლანტა ხოუკსი“) და აიზია თომასი („დეტროიტ პისტპეტიონსი“).

რამდენიმე სიტყვა პირველი მატჩის შედეგზე. გამარჯვება მოიპოვეს 70-იანელებმა 113:101. ჯორდანმა თავის გუნდს 25 ქულა შესძინა, პეტიტმა — 19. რაში მდგომარეობდა პრინციპული განსხვავება ამ გუნდებს შორის? 50-იანელები მეტ დროს ანდომებდნენ დრიბლინგს, რაშიც მართლაც შეუდარებელი აღმოჩნდა ბობ კოუზი. ფარქვეშ ბრძოლაში ძალები დაახლოებით თანაბარი იყო, ყოველ შემთხვევაში, მეოთხე პერიოდში 6 საჯარიმოს გამო მოედანი ბარკლიმაც დატოვა და მაიკენმაც. სროლებს 80-იანელები უკეთ „ფარავდნენ“, მაგრამ ესეც გასაგები უნდა გახდეს, ვინაიდან ძველების ტყორცნები გამოირჩეოდა დაბალი ტრაექტორიით. რაში ჰქონდათ აშკარა უპირატესობა 80-იანელებს? პირველ ყოვლისა სისწრაფეში, აგრეთვე, სიმაღლეზე ხტომაში, რის გამოც მათი ფარი მეტნაკლებად დაცული აღმოჩნდა. რაც შეეხება ბურთის ზემოდან ჩაგდებას, ეს ტექნიკური ილეთი 50-იან წლებში საერთოდ არ იყო ცნობილი.



# ჯემალ ნინიაშვილი



47 წლისა გარდაიცვალა ჯემალ ქრისტეფორეს ძე ნინიაშვილი. იგი სპორტულ ოჯახში აღიზარდა. მამა, ქრისტეფორე შეიძლება ითქვას, საქართველოში სამბოს ფუძემდებელია, ბიძა აკაკი კი ცნობილი მსაჯი და მწვრთნელია. ამიტომაც არავის გაკვირვებია ბიჭის სპორტით გატაცება, ოღონდ ეს იყო, ჯემალმა ერთგვარად „უღალატა“ ოჯახურ ტრადიციას, მრგვალი ბურთი ამჯობინა ჩოხას და კალათბურთის ბავშვთა სექციას მიაშურა. უნდა ითქვას, რომ მისი წარმატებები თავიდანვე თვალსაჩინო გახდა. ჯ. ნინიაშვილი 1964-65 წლებში იყო საკავშირო საზოგადოება „დინამოსა“ და სსრ კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, გამოდიოდა თსუ-ს გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც ს[...] მგზის მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა, იყო საკავშირო უნივერსიადის ვე[...] რცხლის პრიზიორი, „შრომითი რეზერვების“ იუნიორთა ჩემპიონატში გამარჯვებული. 1980 წელს, პროფესიით ინჟინერმა გაიმარჯვა საქართველოს ჩემპიონატში, სადაც იგი „ინჟმშენის“ სახელს იცავდა.

მას სარბიელიდან წასვლის შემდეგ არ გაუწყვეტია კავშირი კალათბურთთან, სათავეში ჩაუდგა ბავშვთა საკალათბურთო კლუბ „პრესინგს“. ეროვნული კატეგორიის არბიტრი აქტიურად იყო ჩაბმული სამსაჯო საქმიანობაშიც და გატაცებით ემსახურებოდა საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს. უდავოდ საგრძნობია დანაკარგი, რომელიც ჩვენმა კალათბურთმა განიცადა მისი გარდაცვალებით.

საქართველოს
კალათბურთის ფედერაცია

## სპორტული ტელეეკრანი

**„ოსტანკინო“**

24 მაისი. 12.20. ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი.

25 მაისი. 12.30. ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი.

26 მაისი. 12.20. ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. 21.45. ლოტო-მილიონი.

0.00. ფეხბურთი. დანია (ნაკრები) — შვეცია (ნაკრები).

27 მაისი. 12.20. ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. 12.50. ფეხბურთი. დანია (ნაკრები) — შვეცია (ნაკრები). გამეორებით.

**„როსია“**

24 მაისი. 23.50. სპორტული კარუსელი.
25 მაისი. 23.50. სპორტული კარუსელი.
26 მაისი. 23.50. სპორტული კარუსელი.
27 მაისი. 23.50. სპორტული კარუსელი.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ჟურნალ „მართვეს“ თანამშრომელს ნანა კვარაცხელიას დედის

თამარ ფოცხვერიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ მთამსვლელობისა და მეკლდეურობის რესპუბლიკური სკოლის დირექტორს ლადო გურჩიანს მამის

ლევან გურჩიანის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და ქართული ჭიდაობის ფედერაცია თანაუგრძნობენ დამსახურებულ მწვრთნელ ქრისტეფორე ნინიაშვილს შვილის

ჯემალ ნინიაშვილის

გარდაცვალების გამო



ბ. პაიჭაძის სახელობის
ეროვნული სტადიონი
(ა.წერეთლის, 2)

26 მაისი
ფეხბურთი

საქართველოს 1993-94 წლების
ეროვნული თასის
გათამაშების ფინალი

„დინამო“ (თბილისი) —
„მეტალურგი“ (რუსთავი)

დასაწყისი 17 საათზე
ბილეთები გაიყიდება სტადიონის
სალაროებში თამაშის დღეს.

# „ცხელი წერტილები“ ჩოგბურთში

ეს ორი სკანდალი, ფაქტობრივად, ერთიმეორეს მოჰყვა. პირველი სკანდალი ესპანელ ჩოგბურთელს სერხი ბრუგერას ეხება, მეორე — ბორის ბეკერსა და მის რუმინელ მენეჯერს იონ ცირიაკს.

მსოფლიოს უძლიერესთა ათეულის წევრს და „როლან გაროსის“ ექსჩემპიონს სერხი ბრუგერას ბრალად ედებოდა, რომ შტუტგარტის საერთაშორისო ტურნირში („მერსედეს ოპენი“) განგებ დაუთმო მეორე წრის პარტია თავის თანამემამულეს ალბერტო ბერასატეგუის, ბრუგერას საქციელით აღშფოთებულმა ტურნირის დირექტორმა ბერნდ ნუშმა კატეგორიულად მოსთხოვა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციას დამნაშავის სამაგალითო დასჯა (ორი თვით დისკვალიფიკაცია და ჯარიმა 50 ათასი დოლარის ოდენობით). ასოციაციის თავმჯდომარემ ინგლისელმა ენ ჰარდისტმა გულისხმიერება გამოიჩინა მომჩივნის მიმართ და მას საქმის ყოველმხრივი შესწავლა აღუთქვა. ამავე დროს დაპირდა, რომ თვითონ, სააპელაციო კომისიის წევრებთან ერთად, დეტალურად შეისწავლიდა ამ სკანდალური მატჩის ვიდეოფირს. ასე რომ, ბრუგერას საქმემ წმინდა სამართლებრივი სახე მიიღო, მაგრამ მერე და მერე, დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა და ბოლოს მიიჩქმალა.

მეორე „ცხელი წერტილი“ საერთაშორისო ჩოგბურთში, როგორც მოგახსენეთ, ბეკერ-ცირიაკის ურთიერთობის გამწვავების ფონზე აღმოცენდა. ათიოდე წლის წინ ცირიაკმა დამმარების ხელი გაუწოდა 15 წლის გამოუცდელ ბორის ბეკერს. წლების მანძილზე ამ კავშირით კმაყოფილი იყო ორივე მხარე და რაც მთავარია, ერთმაც და მეორემაც სწორად წარმართული ფინანსური პოლიტიკის წყალობით დიდძალი სიმდიდრე დააგროვა. ასე რომ, მათი გაყრა ბევრისთვის მოულოდნელ და ამოუხსნელ ამბად იქცა.



ბორისი თავის ფინანსურ პატრონთან კრიზისის მიზეზს მალავდა, არ ამხელდა. არც ცირიაკი იყო მაინცდამაინც სიტყვაუხვი. როგორც ჟურნალისტები ვარაუდობენ, მიზეზი „ეკონომიკური ჰარმონიის“ შერყევა უნდა ყოფილიყო. ცირიაკმა ეს განშორება მწვავედ განიცადა, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ინიციატორი მაინც ბეკერი იყო, რომელმაც მეორე თუ მესამე დღეს მონაკოს ლაჟვარდოვან სანაპიროს მიაშურა თავის მაშინდელ საცოლესთან ბარბარა ფელტუსთან ერთად.

ბეკერი ხშირად აცხადებს, რომ მოიქანცა ფულის კეთებით და ეს უკანასკნელი იმდენი აქვს, რომ არც იცის, რა უყოს. ამდენად, მას გადაწყვეტილი აქვს იზრუნოს თავისი ცხოვრების უკეთ მოსაწყობად.

სურათზე: ბეკერი თავისი ავტომანქანით სავარჯიშოდ მიეშურება.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.

ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, მ. წოწორია.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

24-28 მაისი. ფარიკაობა. თბილისი. ფარიკაობის დარბაზი, ჭავჭავაძის, 49. საქართველოს ჩემპიონატი.

7-23 მაისი. ჭადრაკი. თბილისის ჭადრაკის სასახლე. საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა შორის (უმაღლესი ლიგა).

26-28 მაისი. საგზატკეცილო ველორბოლა. 1. „ქალაქის რკალი“ (კრიტერიუმი), 2. ინდივიდუალური რბოლა. თბილისი — კოჯორი (სტარტი სოლოლაკში), 3. თბილისი — წითელი ხიდი — თბილისი (სტარტი და ფინიში ფონიჭალაში).

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“